# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 409

“16” აგვისტო 2024 ჳ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ. 01030045284) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ. 01030045284) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივლისის №24.1246.1406 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. №26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ. 01030045284) კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1296 (ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე